პრეს რელიზი

თარიღი	24 ივნისი 2019წ.
კონტაქტი	ირმა გოგოტიშვილი მარკეტინგის და კომუნიკაციების ლიდერი, PwC საქართველო ტელ.: + 995 32 2508050 ელ-ფოსტა: irma.gogotishvili@pwc.com

PwC-ის კიდევ ერთი ქართველი პარტნიორი ჰყავს.

თბილისი, საქართველო. 2019 წლის 1 ივლისიდან სერგი კობახიძე პროფესიული მომსახურების ფირმა PwC საქართველოს (ფრაისუოთერჰაუსკუპერს) საგადასახადო და იურიდიული მიმართულებების პარტნიორია.

სერგი კობახიძე საქართველოში საგადასახადო და იურიდიული მომსახურებების პარტნიორი გახდა. მისი 17 წლიანი პროფესიული გამოცდილება მოიცავს ადგილობრივ და საერთაშორისო საგადასახადო საქმიანობას, რომელიც ითვალისწინებს კერძო და საჯარო სექტორისათვის გაწეულ საკონსულტაციო მომსახურებებს. სხვადასხვა ინდუსტრიაში მოღვაწე კლიენტების მხარდაჭერას, როგორც საქართველოში, ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით.

სერგი ასევე საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის დირექტორთა საბჭოს აქტიური წევრია, სადაც იგი ფართოდ უზიარებს ბიზნეს საზოგადოებას PwC-ში დაგროვილ ცოდნას, გამოცდილებას და საუკეთესო პრაქტიკებს.

PwC-ის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის აღმასრულებელმა დირექტორის, ნიკ კოშის განცხადებით, "პარტნიორობა როგორც პირადი ასევე პროფესიული ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია. დიდი პატივით აღვნიშნავ ამ მაღალკვალიფიციური ადამიანების მიღწევებს. ჩვენმა ახალმა პარტნიორებმა გამოავლინეს ბიზნესის ცოდნის და ლიდერობის საუკეთესო უნარები, რაც უმნიშვნელოვანესია PwC-ის ამბიციების განსახორციელებლად. მათ თავიანთი შრომისმოყვარეობით და საქმისადმი მაღალხარისხიანი მიდგომით შეძლეს მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინათ ჩვენს კლიენტებზე, თანამშრომლებსა და ფირმაზე. PwC-ის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორების მისია ახლა განსაკუთრებით რთულია, რადგან რეგიონში ჩვენი ფირმები განვითრების კიდევ უფრო მაღალ ეტაპზე გადადიან".

PwC ყოველთვის ისწრაფის საკუთარ თანამშრომლებს საუკეთესო კარიერული განვითარების შესაძლებლობები შესთავაზოს, მსგავსი დაწინაურებები PwC-ის სტრატეგიის მხოლოდ ერთი ნაწილია - ეს თავისთავად გულისხმობის ისეთი მაღალკვალიფიციური კადრის შენარჩუნებას, რომლებიც მზად არიან გაუმკლავდნენ ბიზნესის რთულ გამოწვევებს.

„ეს წარმატება, სერგის PwC-ში გატარებული 14 წლიანი კარიერის ლოგიკური და ღირსეული გაგრძელებაა. მისი პარტნიორობა კიდევ უფრო აძლიერებს PwC-ის საქართველოს ბაზარზე და ამყარებს ჩვენი ამბიციური ზრდის მიზნებს. ვულოცავთ სერგის და ვამაყობთ ამ წარმატებით!“ - **ლაშა ჯანელიძე, PwC საქართველოს მმართველი პარტნიორი.**

“2005 წელს, როდესაც შევუერთდი PwC-ის საქართველოს 15 წევრიან გუნდს, მყისიერად მომეცა შესაძლებლობა ჩემთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო PwC -ის გლობალური ქსელის კარიერული განვითარებისათვის საჭირო ყველა შესაძლებლობა და მხარდაჭერა, ზუსტად ისეთივე, რასაც დღევანდელ დღეს სთავაზობს ფირმა თითოეულ ახალ თანამშრომელს. ამ წლების განმალობაში, ჩვენ ერთად, PwC-ის საქართველოს გუნდმა მივაღწიეთ წამყვან პოზიციას პროფესიული მომსახურების ბაზარზე და თანამშრომელთა მაღალ კმაყოფილებას. მადლობას ვუხდი ჩემს გუნდს, რადგან მათი უდიდესი მხარდაჭერა და შრომისმოყვარეობა უდევს საფუძვლად ჩემს ყველა მიღწევას“ - **სერგი კობახიძე, პარტნიორი, საგადასახადო და იურიდიული მომსახურებები.**

PwC-ის შესახებ

PwC-ში ჩვენი მიზანია საზოგადოების ნდობის ამაღლება და მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში მათი დახმარება. ჩვენს ქსელში შემავალი ფირმები 158 ქვეყანაშია განთავსებული და მასში დასაქმებულია 250,000-ზე მეტი ადამიანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალხარისხიან აუდიტორულ, საკონსულტაციო და საგადასახადო მომსახურებებს.

PwC აქტიურად არის წარმოდგენილი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში 25 წელზე მეტია. PwC ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა (PwC CEE) არის ქსელი ფირმებისა, რომელშიც შემავალი თითოეული ფირმა არის ცალკე და დამოუკიდებელი იურიდიული პირი და თითოეული მოქმედეს ადგილობრივი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად. დღეს ჩვენთან დასაქმებულია 12,000-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის 275 პარტნიორი, რომლებიც მუშაობენ 56 ოფისში 29 ქვეყანაში.

PwC-იმ თბილისში ოფისი გახსნა 2005 წელს და 14 წელიწადია აქტიურად მუშაობს რეგიონში. ჩვენ, შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (PwC საქართველო) ვმუშაობთ, რათა ჩვენი კლიენტები ადგილობრივ ბაზრებზე უფრო წარმატებულები და გლობალურად კონკურენტუნარიანები გავხადოთ. დღეს თბილისის ოფისში დასაქმებულია 100-ზე მეტი პროფესიონალი, მათ შორის ორი პარტნიორი და ორი დირექტორი.

"PwC" წარმოადგენს ფრაისუოთერჰაუსკუპერს ინტერნეიშენალ ლიმიტედ-ის კომპანიების ქსელს, რომელთაგან თითოეული არის ცალკე და დამოუკიდებელი იურიდიული პირი. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ www.pwc.com/structure.

©2019 ფრაისუოთერჰაუსკუპერსი. ყველა უფლება დაცულია